

სინტაქსისა და მორფოლოგიის შეუსაბამობის თეორიული პრობლემები ქართველურ ენებში¹

ვინფრიდ ბოედერი

(ოლდენბურგის უნივერსიტეტი, გერმანია)

1. „არაპრობლემატური“ შემთხვევა: ქვემდებარისა და ზმნის შეთანხმება რიცხვში

ქართული ენის გრამატიკები იცნობენ სინტაქსსა და მორფოლოგიას შორის შეუსაბამობის მრავალ შემთხვევას. მაგალითად, სუბიექტსა და პრედიკატულ ზმნას შორის შეთანხმების აღწერის მიხედვით ივარაუდება, რომ სუბიექტი და პრედიკატი რიცხვში შეთანხმებული უნდა იყოს:

(1) სტუდენტები მიდიოდნენ უნივერსიტეტში

ეს მარტო ყველაზე ხშირი შემთხვევა კი არაა, იგი ამასთანავე გამომდინარეობს საერთო სინტაქსური წესიდან, მაშინ როცა ყველა გადახრა მხოლოდ განსაკუთრებულ სემანტიკურ ან სხვა სახის წინაპირობებში გვხვდება, როგორც, მაგალითად, უსულო ქვემდებარესთან (“number split”), განსაკუთრებით მაშინ, თუ ზმნა სუბიექტს წინ უძღვის. ლეო კვაჭაძე (1996: 126 § 56) მაგალითად იმოწმებს ისეთ წინადადებებს, როგორიცაა (2), რომელშიც ქვემდებარე წინ უძღვის ზმნას და ზმნა ეთანხმება მას რიცხვში და (3), რომელშიც ქვემდებარე მოსდევს ზმნას და არ ეთანხმება მას რიცხვში:

(2) რა უდარდელად ჩემი დღეები იქ მიდიოდნენ (ილია ჭავჭავაძე)

(3) ასე მიდიოდა მოხუცის დღეები (ა. ყაზბეგი)

(3) მაგალითში ეს გადახრა წმინდა სინტაქსური წესიდან არ წარმოადგენს საფუძვლიან „საშიშროებას“ საერთო წესისთვის; ის მხოლოდ სემანტიკურ შეზღუდვას ქმნის. თითოეულ შემთხვევაში წესი იქიდან გამოდის, რომ სუბიექტის ნიშან-თვისებები ზმნის პირსა და რიცხვს განსაზღვრავს, ისეთ შემთხვევაშიც კი, როგორიცაა ლეო კვაჭაძის მიერ დასახელებული მინიმალური წყვილი (2) და (3), რომელშიც

¹ ამ სტატიის დაწერას ვერ შევძლებდი ნინო დობორჯინიძისა (თბილისი) და რეზო კიკნაძის (ლუბეკი/თბილისი) დახმარების გარეშე. ნ. დობორჯინიძემ მომაწოდა არა მარტო მნიშვნელოვანი მაგალითები, იგი დამეხმარა ამ სტატიის ქართულად თარგმნაშიც. დიდი დახმარება გამიწია რ. კიკნაძესთან მრავალჯობის საუბრებში. ორივეს დიდ მადლობას მოვასხუნებ. ასევე მადლობა მინდა ვუთხრა ნინო ამირიძეს (ლინცი/თბილისი), მარინე ივანიშვილს (თბილისი) და ლერი მჭედლიშვილს (თბილისი) ზოგიერთი ტერმინის თარგმნისთვის და პ. ლარანიაცას (Pilar Larrañaga, ჰამბურგი) (44) მაგალითის სტანდარტული ვერსიისა და ანალიზისათვის.

წესის გამოყენება უპირისპირდება წესის არ გამოყენებას. გადახრები, რომელთა შესახებ მე ვისაუბრებ აქ, სხვა სახისაა.

2. ზმნები პირველსა და მეორე პირშია, სუბიექტი / ობიექტი კი – მესამე პირში

შედარებით ძველ სტატიაში (1984: 155) ლეო კვაჭაძემ მიუთითა იმის შესახებ, რომ I ან II პირის ნაცვალსახელისა და ზმნის შეთანხმების გვერდით არსებობს შემთხვევები, როცა ზმნის პირველი ან მეორე პირის ფორმა ვერ იხსნება სუბიექტის პირისა და რიცხვის შეთანხმების საერთო წესის მიხედვით. მართალია, ჩვენ გვაქვს წინადადებები, როგორცაა მაგალითად:

(4) ჩვენ, ირმები, ენით არ ვლაპარაკობთ (ვაჟა, იხ. კვაჭაძე 1984: 155).

ისევე, როგორც პირველ მაგალითებში, შეთანხმება აქაც არ არის პრობლემატური, ვინაიდან ჩნდება ექსპლიციტური პირის ნაცვალსახელი. თუკი მძიმეს დავეურობით, სუბიექტის სახელური ნაწილი ირმები, „არა-მყარი დანართი“ (*“lose Apposition”*, ლავრენცი 1993: 61-76) იქნება, რომელიც ინტონაციის, შესაბამისად, ბაუზების, მიხედვით იოლი შესაცნობია. მაგრამ არის წინადადებები, რომლებსაც შესაბამისი ნაცვალსახელები აკლია:

(5) ა) დედას დამიჯერე²

ბ) ნუ მარცხვენ ყაჩაღს (ილია ჭავჭავაძე, იხ. კვაჭაძე 1984: 155)

გ) გაგიკვირდება კაცს

დ) რომელი აღებ კარსა? (ს.-ს. ორბელიანი, სიბრძნე სიცრუისა)

(6) ვინც ვინდა იყო ჩემი მკითხველი (მამია გურიელი, იხ. ზოგადი 1989: 178)

(7) თუ რამეს დავაშავებდით ბავშვები, დავაშინებდა (გ. ლეონიძე, იხ. კვაჭაძე 1984: 155)

(8) ბავშვებს ჩაის დაგისხამთ, უფროსები კი ღვინოს დაგლევეთ.

(5)-(8) მაგალითებში ზმნის რიცხვი შეესაბამება სახელის რიცხვს (5), (7)-(8) შესაბამისად, ნაცვალსახელის რიცხვს (6).³ მაგრამ სხვა წინადადებებში ზმნის მრავლობით რიცხვს შეესაბამება სახელის მხოლოდითი რიცხვი რაოდენობითი სახელით ან რაოდენობითი სახელის გარეშე (9), (19ა), კვანტორით (19), (12), განუსაზღვრელი ნაცვალსახელით (11), (13), (20ა), კითხვითი ნაცვალსახელით (15)-(17) ან უარყოფითი ნაცვალსახელით (18). ეს შეუთანხმებლობა

² შდრ. დამიჯერეთ მამას (ბალსხუმოური სვანური 65,34 *ჩემივერე ბაბას*); იხ. ზოგადი 2005: 61.
³ ამ ტიპის კონსტრუქცია: ჩვენ, ბავშვები მაგალითებში (7)-(8) შეზღუდულია მრავლობითი რიცხვით. ლიტერატურაში (იხ. ლავრენცი 1993: 93) ნათქვამია, რომ მხოლოდობით იდენტიფიცირება თუ სპეციფიცირება შესაძლებელი ხდება ერთმნიშვნელოვანი ნაცვალსახელის მეშვეობით: (ა) *ქართველები ღვინოს ვსვამთ*, მაგრამ არა: (ბ) **ქართველი ღვინოს ვსვამ*; შდრ. მაინც: არ გესმის ადამიანს, რატომ... შეჩვენება, რომ ეს ახსნა არაა საკმარისი: (ა)-ში საქმე გვაქვს არა ინდივიდების იდენტიფიცირებასთან, არამედ „ჩვენ“-ის რეფერენტების კლასთან: როგორც წესი, კლასს ეკუთვნის ერთზე მეტი ინდივიდი. ემოციურად დამახასიათებელი სახელები, როგორც, მაგალითად (5) და (24)-(26), რიცხვით ამგვარ შეზღუდვას არ ექვემდებარება.

ზმნასა და სახელური ჯგუფის თავს შორის ეხება როგორც სუბიექტებს (9)-(11), (14)-(15), (17)-(21), ასევე ობიექტებს და ირიბ სუბიექტებს (12), (13), (16):

- (9) კაცოდა ფეხი სად მოვიკიდოთ ორმა კაცმა? (ილია ჭავჭავაძე, იხ. კვაჭაძე 1984: 155)
- (10) სალამოს უველამ შინ მოვიყარეთ თავი (თ. გოგოლაძე, იხ. იქვე)
- (11) ა) ვინც ეს წაიკითხ[ო]თ ად[ი]დ.... (ატენის სიონი, იხ. ალექსიძე 1989: 10)
- ბ) რ[ომელმა] ადმოიკითხოს ლოცვა... (ბოლნისი, ჯვარი ბარნაბაძე-სი, იხ. შოშიაშვილი 1980: 84)
- (12) თითოს ცხრა თუმანი გვქონდა თათრის ფული (ბალსხემოური სვანური დედანი 39,17: თვით ჩხარა თუმან ნან⁴ ნულვან თათრი თეთრ)
- (13) ჩვენ გვინდა: ვისაც ეს თასი შეგვხვდება, ის მოგვცემს... (ბალსხემოური სვანური დედანი 68,32: ნან გვაკუჩ: ანს სგვხვიი ალ ხარბაშა, ეჟი ლაჟვედნედ...)
- (14) გიორგი რომელი ხართ?
- (15) რომელი ხართ ვაჟკაცი?
- (16) ვის გაქვთ სიგარეტი?
- (17) ვინ იცნობთ სოლოს? (მ. ჯავახიშვილი, იხ. ბოედერი 1989: 178)
- (18) [მწყურისათვის] თავის მოგლეჯა ვერავინ გაგბედეთ (შ. არაგვის-პირელი, იხ. კვაჭაძე 1984: 155)
- (19) (ა) ამ საქმეს სამი კაცი თავისუფლად გეყოფით, (ბ) ერთმა ღობე შემოვავლოთ იქაურობას, (გ) მეორემ დავიცვათ
- (20) (ა) აწ ვინცა ვიცი თუკეთე შეტყორცა საგდებელისა, (ბ) მან ერთსა ბურჯსა გარდვადგდოთ წვერი საბლისა გრძელისა (გეფხისტყაოსანი 1395,1-2, აკადემიური გამოცემა 1389,1-2)
- (21) (ა) ფიცხლა შევებნეთ, (ბ) შევსჯარნეთ, (გ) ვერ მოგვასწრებენ კარებსა, (დ) სამთაგან ერთი შეუვალთ, (ე) სხვა გარეთ ვსცემდეთ გარებსა, (ვ) მან ერთმან შიგნით შიგანნი მივსცნეთ სისხლისა ღვარებსა (გეფხისტყაოსანი 1405 (1399))

ამ წინადადებებში არ გვაქვს სუბიექტის ან ობიექტის I ან II პირის ნაცვალ-სახელები, რომელთაც შეეძლოთ ზმნაში შეთანხმება გამოეწვიათ, და ზმნა არ ეთანხმება შესაბამისად, არც სუბიექტს, არც ობიექტს; ზმნის გარეთ მდგომი მესამე პირი ეწინააღმდეგება ზმნაში მრავლობითი რიცხვის შესაბამისად, პირველ, მეორე პირს. მაგალითად, (19ბ)-ში გარკვევით არის ნათქვამი, რომ არა სამივე ადამიანი, არამედ მხოლოდ ერთი შემოავლებს ღობეს; ამის მიუხედავად, ზმნა მრავლობითი რიცხვის I პირში დგას. ლეო კვაჭაძე (1984: 155) ამის მიხედვით ასკვნის, რომ ზმნა ქვემდებარეზე დამოკიდებული არ არის: „შემასმენელი უაღრესად დამოუკიდებელი, თავისთავადი სინტაქ-

⁴ ეს ნაცვალსახელი ქართულ თარგმანში დამოტოვებულია. გასარკვევია, ნამდვილად არის თუ არა იგი სვანურში ბუნებრივი.

სური ერთეულია და არ არის ჩვეულებრივს დაქვემდებარებითს მიმართებაში ქვემდებარესა და დამატება-ობიექტთან, არ არის სახელისაგან მართული პირში, ხშირად ზმნის პირის ფარდი სახელის შეუწყობლად იხმარება [...] ასე რომ, „სახელი მართავს ზმნას პირში“ და „აჩენს პირის ნიშანსო“, ჩვენი აზრით, საქმის ვითარებას არ შეესაბამება.“ მე ვეთანხმები ამ თვალსაზრისს, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რა ურთიერთობა არის სახელად ნაწილსა და ზმნას შორის.

უფრო ზუსტი იყო აკაკი დავითიანის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი (დავითიანი 1973: 304). სახელურ ერთეულებს ისეთი წინადადებებისას, როგორცაა, მაგალითად (5), ის განიხილავს, როგორც ნაცვალსახელის სუბსტიტუტს („ნაცვალს“), რომელიც თავისთავად იკარგება. აკაკი დავითიანის მიხედვით ამგვარად იქმნება სტრუქტურა, რომელიც „ახალ, „არანორმულ“ დამოკიდებულებას ქმნის. [...] ეს მოვლენა ძალიან საყურადღებო ჩანს წინადადების კონსტრუქციის თავისებურებათა გასარკვევად“. მე აქაც შემოიძლია მხოლოდ დავეთანხმო, ოღონდ, თუ არ ჩავთვლით სუბსტიტუტის ცნებას, რომელიც, ალბათ, არ ივარაუდება, როგორც გრამატიკული ახსნა, დავითიანი ამ მოვლენის აღწერას არ გვთავაზობს.

3. პირის ნაცვალსახელები დეტერმინანტებად

შეიძლება გვეთქვას, რომ (5)-(21) ტიპის წინადადებებში სინამდვილეში შესაბამისი პირის ნაცვალსახელი „დაფარულია“. და მართლაც, ქართულ სკოლაშიც ხშირად ანალიტიკური ვარჯიშის მიზნით შემოაქვთ ზმნური ფორმები პირის ნაცვალსახელებთან ერთად, რომლებიც ზმნური ფორმების ქვემდებარეებსა და დამატებებს წარმოდგენს:

(5') შენ ნუ მარცხვენ მე

ასეთი კატალიზი, როგორც ამ მეთოდს უწოდებს ლუი იელმსლვეი (1961: 93-96; შდრ. ფოგტი 1971: 88), გამართლებულია, მაგრამ ის არ გვეუბნება, რომ შესატყვისი ნაცვალსახელები „უჩინარია“, ან „წაშლილი“.

უფრო დაწვრილებით განვიხილოთ ექპლიციტური ნაცვალსახელების განაწილება. სულ მცირე სამი შემთხვევა უნდა გავაანალიზოთ:

3.1 ნაცვალსახელი არის ზმნის სუბიექტი ან ობიექტი. იგი ემფატიკურია (მახვილიანია) და გამოხატავს, მაგალითად, კონტრასტს; და, ვინაიდან ზმნაში არ არსებობს ემფატიკური პირის ნიშნები, ნაცვალსახელმა ზმნის გარეთ უნდა შეასრულოს ეს ფუნქცია.

(22) ა) მე შინ ვიყავი, ის კი სადღა იყო?

ბ) საღამოს ჩვენ ყველამ შინ მოვიყარეთ თავი, თქვენ სადღა იყავით?

გ) მხოლოდ მე (*ჩემ) ერთს მიმღერა

დ) მხოლოდ ჩვენ სამს გვიმღერა

აქ ზმნის გარეთ მდგომი ნაცვალსახელი ზმნის პირის „ორეულია“. ზმნის შიგნით მყოფი პირის ნიშნის ზმნის გარეთ მყოფი ნაცვალსახელით გაორმაგებიდან ტრივიალურად გამომდინარეობს „შეთანხმება“, მაგრამ ეს შეთანხმება არ ემყარება ზმნაში შესაბამისად, სუბიექტისა და ობიექტის ნიშნების ასლს. უფრო პირიქითაა, ზმნის გარეთ მდგომი ნაცვალსახელი ზმნის პირის ასლია („ორეულია“), ვინაიდან, მაშინ როდესაც ზმნის პირში სუბიექტი და ობიექტი განირჩევა, „ორეულმა“ ნაცვალსახელმა ეს განსხვავება არ იცის. პირის ნაცვალსახელის იმპლიციტური მარკირება „სუბიექტის“, შესაბამისად „ობიექტის“, ნიშნებით იქნებოდა *ad-hoc*- კონსტრუქცია.

3.2 ნაცვალსახელი არც ზმნის სუბიექტია, არც ობიექტი, არამედ დამოკიდებულია თანდებულზე. თანდებულს თუ წინ უშუალოდ უძღვის, თანდებული მართავს მას ბრუნვაში (ე.ი. ირიბი ფუძის ფორმა აქვს, მაგალითად *ჩემ (23ა)*), თუ არა – ძირითადი ფორმის სახით ვლინდება (მაგალითად *მე; შდრ. (24)*):

- (23) ა) *ჩემ-თან*
- ბ) *ჩვენ სამ-თან*

3.3 სახელური ჯგუფის პირველ პოზიციაში მდგომი ნაცვალსახელი ძირითადი ფორმით ასევე ემოციურად დამახასიათებელი სახელის დეტერმინანტად (ლავრენცი 1993: 93) ვლინდება სუბიექტთან (24 ა), ობიექტთან (24 ბ) და სახელდართულსა (24 გ) და თანდებულისა ჯგუფებში (24 დ-ე):

- (24) ა) *მე საწყალმა მთელი ეს წიგნი უნდა წავიკითხო!*
(??? საწყალმა მთელი ეს წიგნი უნდა წავიკითხო)
- ბ) *იმ მამაძალღს ბევრი ფული მისცეს, მე უბედურისთვის კი არაფერი მოუციათ*
- გ) *მე რეგვენთან ცხოვრებას ვინმე მდიდარ ვაჭართან არხეინად უოფნას ამჯობინებს*
- დ) *მე უბედურზე მთელი თბილისი ჭორაობს*
- ე) *აბა მე უბედურთან კი არ მოვა ვინმე*

(24)-ში პირის ნაცვალსახელი სავალდებულოა. (25)-ში კი წოდებითი, ისევე როგორც II პირი, მონაწილის როლს აღნიშნავს საუბრის სიტუაციაში, ამიტომ მას არ ახლავს II პირის ნაცვალსახელი. თანამედროვე ქართულში ეტყობა ნაცვალსახელი, მხოლოდ წოდებითს ეთანხმება ბრუნვაში (25ა). წოდებით სახელს თუ *შე/თქვე* ნაცვალსახელი არ ახლავს, მას კლასის მნიშვნელობა აქვს, და არა ემოციურად დამახასიათებლისა: (25ბ)-ში ადრესატები მამაძალღების კლასის წარმომადგენლები არიან:

- (25) ა) *თქვე მამაძალღებო*
- ბ) *მამაძალღებო*

მესამე პირში არ გამოჩნდება პირის ნაცვალსახელი (იხ. (26)). არ არსებობს მესამე პირის არადეიქტური დეტერმინანტი (არ არსებობს განსაზღვრებითი არტიკლი); ასე რომ, (25) წინადადებების პირის ნაცვალსახელების პარადიგმატული შესატყვისობა (26)-ში არის შე.

(26) საწყალმა მთელი ეს წიგნი უნდა წაიკითხოს!

(23ბ-გ), (24), (25ა) სინტაგმებში პირის ნაცვალსახელი განსაზღვრავს სინტაგმას პირველ, შესაბამისად, მეორე პირად. იგი არის დეტერმინანტი, ისევე, როგორც ჩვენებითი ნაცვალსახელი (24ბ) და (27) მაგალითებში და იკავებს იმავე პოზიციას.

(27) ეს მამაძალი

ასე რომ, პირის ნაცვალსახელებს შეუძლიათ იყვნენ დეტერმინანტები. მივყვები რა პოსტალის (1966) ტრადიციას, მე ვვარაუდობ, რომ ყოველთვის დეტერმინანტები არიან მაშინაც, როდესაც განსაზღვრული სახელი არ ჩანს (მაგალითად (23ა)-ში).

3.4 (5)-(21) მაგალითებში თეორიული მოსახრებების საფუძველზე შესაძლებელია (22) და (24) მაგალითების ექსპლიციტური პირის ნაცვალსახელების პოზიციის უმახვილო იმპლიციტური შესატყვისობები (შ) ვივარაუდოთ. მაგრამ ზმნის პირის არსებობა ამ კონსტრუქტის სასარგებლოდ არ მეთქველებს, ვინაიდან იგი არ არის შეთანხმების რეზულტატი (3.1). ყოველ შემთხვევაში უნდა გაირკვეს მორფოლოგიურად გამოხატულ კატეგორიებს შორის არსებული ურთიერთობები; კერძოდ, უნდა გაირკვეს პირის შეუთანხმებლობა (5)-(21) მაგალითებში, ანუ ზმნის მორფოლოგიიდან ზმნის გარეთ მდგომი, შესაბამისად, სუბიექტის, ობიექტის თვისებების გადახრა სისტემატურად უნდა შევისწავლოთ. ეს მომდევნო ნაწილში მოხდება.

4. ზესიმრავლისა და ქვესიმრავლის განსაზღვრა

განსაზღვრის მიხედვით კონსტრუქციის ორი ტიპი უნდა გავარჩიოთ: ა ტიპი (5)-(10), (19ა) მაგალითებში (4.1) და ბ ტიპი (12)-(21) მაგალითებში (4.2).

4.1 კერ განვიხილოთ (5)-(10) მაგალითები. (5)-(9) წინადადებებში სახელებს, შესაბამისად, კვანტორს (10)-ში, თან არ ახლავს დეტერმინანტი, მაგრამ ზმნის პირი სათანადო ერთეულს ისევე განსაზღვრავს, როგორც დეტერმინანტები (22) და (24) მაგალითებში. დეტერმინანტის და ზმნის პირის სინტაქსური პოზიციის მხოლოდ განსხვავებული. (5) წინადადებაში *მარცხვენ* ზმნის ობიექტის I პირი მხოლოდითი რიცხვისა განსაზღვრავს სახელს *ჯაჩალს*, როგორც მხოლოდითი რიცხვის II პირს, და ასევე, (7) წინადადებაში ზმნის სუბიექტის მრავლობითი რიცხვის პირველი პირი განსაზღვრავს სახელს *ბავშვებს*. (6) წინადადებაში *იყო* ზმნა განსაზღვრავს განუსაზღვრელ

ნაცვალსახელს ვინც, როგორც მხოლოებითი რიცხვის II პირს: ზმნის მეორე პირი, მართალია, როლს აღნიშნავს საუბრის სიტუაციაში, მაგრამ პირს დეფინიტურს არ ხდის (შდრ. *ვისმენტ!* უურმილის აღების დროს). (9) წინადადებაში ზმნის მრავლობითი რიცხვის I პირი განსაზღვრავს სახელის მხოლოებით რიცხვს *ორმა კაცმა*-ში. ეს აზრობრივი შეთანხმების შემთხვევა როდია, ვინაიდან სტანდარტულ ქართულში ზმნა რიცხვში ეთანხმება მესამე პირის მხოლოებითი რიცხვის სინტაგმებს მაშინაც, თუ ისინი კვანტიფიცირებულია რაოდენობითი რიცხვითი სახელით ან *ყველა* კვანტორით:

(28) ოთახიდან ორი დედაკაცი გამოვიდა (ს. კლდიაშვილი, იხ. კვაჭაძე 1996: 123-124).

ასე რომ, (9) წინადადებაში ზმნის მრავლობითი რიცხვი განპირობებულია არა *ორმა კაცმა*-ს გამო, ასევე (10)-ში არ არის განპირობებული *ყველამ* მხოლოებითი გამო. (5)-სა და (6)-ში მხოლოებითი ზმნაში და მხოლოებითი ზმნის გარეთ შეესატყვისება ერთმანეთს; (7)-(10)-ში კი, პირიქით, ზმნის I და II პირი მრავლობითი რიცხვისა შეესატყვისება გამოთქმას, რომელიც არ უნდა იდგეს მრავლობითში, მაგრამ ერთზე მეტი პირის სიმრავლეს გამოხატავს. ეს ჩანს ისეთ მაგალითებში, როგორიცაა (10) წინადადება: *ყველამ* არის კვანტორი, რომლის სკოპოსი უნდა იყოს სიმრავლე. პირის ნაცვალსახელებს და პირის ნიშნებს, სახელდობრ, თითოეულს, აქვს მნიშვნელობის ორი კომპონენტი. ჩარლზ პირსის ტერმინოლოგიის მიხედვით, ისინი, ერთი მხრივ, არიან ინდექსიკალური, ანუ დეიქტური, როგორც ჩვენ ლინგვისტიკაში უმეტესად ვამბობთ ხოლმე, მეორე მხრივ, ისინი აგრეთვე შეიცავენ სიმბოლურ კომპონენტებს. „ჩვენ“ შეიცავს, მაგალითად, არადეიქტურ მნიშვნელობებს: „ადამიანური“ და „სიმრავლე“, ვინაიდან „ჩვენ“-ს შეუძლია განსაზღვროს მხოლოდ ადამიანურ არსებათა სიმრავლე, კერძოდ, „მე-სა და დანარჩენების,“ სიმრავლე (ანუ სოციალური მრავლობითი). თავის მხრივ, შესაძლებელია მრავლობითი რიცხვის I ან II პირისგან განსაზღვრული სიმრავლის კვანტიფიცირება, როგორც, მაგალითად, (9) და (19ა) წინადადებაში რიცხვითი სახელების, შესაბამისად, „ორისა“ და „სამის“ მეშვეობით. აქ „ჩვენ“-ის სიმრავლე შედგება, შესაბამისად, ორი და სამი ადამიანისგან.

4.2 განსაკუთრებით საინტერესოა შემთხვევები, რომლებშიც ზესიმრავლიდან, რომელიც „ჩვენ“-ით ან „თქვენ“-ით განსაზღვრება, შეიქმნება (წარმოიქმნება) ქვესიმრავლე. საქმე ეხება პარტიტულ კონსტრუქციებს (ბოედერი 2004: 61-62; ბიკელი 2000: **“partitionial agreement”**). ავიღოთ, მაგალითად, (19) წინადადება: ზესიმრავლე ზმნაში განსაზღვრება მრავლობითი რიცხვის პირველი პირით. პირველ წინადადებაში (ა) კვანტიფიცირდება ეს ზესიმრავლე: სამი ადამიანი არის. (ბ) წინადადებაში ქვესიმრავლე შეიზღუდება „ერთამდე“ და ასევე (გ) წინადადებაში – „ერთამდე“, ვინაიდან რიგობითი რიცხვითი სახელი „მეორე“ (შემდგომი კვანტიფიცირების გარეშე, მაგალითად, მრავლობითი რიცხვით) შეზღუდავს რაოდენობას „ერთამდე“. ასევე კითხვა *რომელი* (14)-(17) წინადადებაში დაესმის კაცს. მაგალითად, (14) წინადადე-

ბაში წინასწარ ნათქვამია, რომ მათგან, ვისაც მიმართავენ, მხოლოდ ერთია გიორგი. რიცხვის თვალსაზრისით ნეიტრალური ვინ-ის შემთხვევაში კი, პირიქით, ქვესიმრავლის რაოდენობა ღიად რჩება. (16)-(17) წინადადებები გამოხატავს, რომ ერთ ან რამდენიმე პირს კითხულობენ. (18) წინადადებაში რაოდენობა განისაზღვრება როგორც ნულოვანი. მსგავსი შემთხვევაა (20) წინადადებაში: განუსაზღვრელი ვინცა და ანაფორისტული ნაცვალსახელი მან შეიცავენ ზესიმრავლე „ჩვენ“-ის ქვესიმრავლე „ერთს“. ვინცა რიცხვის თვალსაზრისით ნეიტრალურია: (6) წინადადებაში ზმნის პირი განსაზღვრავს რაოდენობას, როგორც ერთ პირს, მაგრამ (11ა) წინადადებაში – როგორც რამდენიმე პირს. (11ა) წინადადებაში ორგვარი წაკითხვაა სინამდვილეში შესაძლებელი. ერთი გვეუბნება, რომ ყველა, ვისაც მიმართავენ, კითხულობს წარწერას: „თქვენ (ყველა), რომლებიც წარწერას წაკითხავთ; ორივე სიმრავლე იდენტურია. მეორე, პრაგმატული თვალსაზრისით უფრო სათუო წაკითხვა, გვეუბნება, რომ, ვისაც მიმართავენ, მათი ქვესიმრავლე კითხულობს წარწერას: „თქვენგან ისინი, რომლებიც წაკითხავენ წარწერას“. ჩვენ არ ვიცით, შესაძლებელია თუ არა ამგვარი წაკითხვა მეცხრე თუ მეთათე საუკუნის წარწერაში, ვინაიდან არ გვაქვს პარალელური ადგილები. უფრო ძველ წარწერაში (11ბ) შესაძლოა პირი იხმარება ჩვენებით ნაცვალსახელთან, რომელიც არ ჰქმნის ქვესიმრავლეს: „ის, რომელიც წაკითხავს წარწერას“.

აქამდე ჩვენ გვჭონდა შემთხვევა, როცა ხდებოდა ან ზესიმრავლის კვანტიფიცირება, მაგ. (19ა) წინადადებაში, ან ქვესიმრავლისა, მაგალითად, (19ბ). (21) წინადადებაში კი, პირიქით, ორივე სიმრავლე კვანტიფიცირებულია: ზესიმრავლე „ჩვენ“ შედგება სამი ადამიანისგან, და ქვესიმრავლეებია, ერთის მხრივ, ერთი კაცი (დ, ვ) და, მეორეს მხრივ, ორი ადამიანი (ე).

4.3 კვანტიფიცირების გარდა, ახლა საკვლევია, როგორ განისაზღვრება ქვესიმრავლე და ზესიმრავლე ზმნის პირით ან პირის ნაცვალსახელით.

ა) (21დ) წინადადებაში სუბიექტი შედგება ორი ნაწილისგან, მათგან ერთი დამოკიდებულია მეორეზე:

(21დ') [[სამთაგან] ერთი] შეუვალთ.

ერთი ახდენს ქვესიმრავლის კვანტიფიცირებას, სამთა – ზესიმრავლისას. მაგრამ შესაძლებელია ქვესიმრავლეს იყოს განსაზღვრული: (21ვ) წინადადებაში მან არის ერთმან-ის დეტერმინანტი. ამგვარად, შესაძლებელია ზესიმრავლე და ქვესიმრავლე კვანტიფიცირდეს და განისაზღვროს ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. ზმნის პირი აშკარად ახდენს არა ქვესიმრავლე ერთი-ს, არამედ სამთა-ს დეტერმინირებას.

ბ) (21დ') წინადადებაში ერთი ეკუთვნის სახელური შესიტყვების თავს. შეთანხმება უმეტესად იმაში მდგომარეობს, რომ შესიტყვების თავის ნიშანთვისებები (მორფოლოგიური კატეგორიები) სხვა ერთეულის ნიშან-თვისებებს ეწყობა. მაგალითად, (1) და (2) წინადადებაში სუბიექტი და ზმნა ეწყობა

ერთმანეთს რიცხვში. მაგრამ (21დ) წინადადებაში ზმნის პირი აშკარად არ ეწყობა სახელური შესიტყვების თავის კუთვნილ ერთ-ს, არამედ იგი განსაზღვრავს ზესიმრავლე სამთა-ს. როცა ზესიმრავლე და ქვესიმრავლე განსხვავებულია, მაშინ ზმნის პირი ზესიმრავლეს განსაზღვრავს, თუ ის წარმოდგენილია; თუ არ არის წარმოდგენილი, მაშინ განსაზღვრავს დასახელებულ სიმრავლეს. ამრიგად, ზმნის პირი განსაზღვრავს ზესიმრავლეს, თუ ცალკეა წარმოდგენილი, თუ არ არის წარმოდგენილი – დასახელებულ სიმრავლეს (ე.ი. განსაზღვრავს იმ სიმრავლეს, რომლის ჰუმმარიტი ან არაჰუმმარიტი ნაწილიც სახელური შესიტყვების თავითაა წარმოდგენილი). ამ ორ სიმრავლეს მე ვუწოდებ „მთლიან სიმრავლეს“.

4.4 ახლა განვიხილოთ მთლიანი სიმრავლის დეტერმინირება ექსპლიციტური პირის ნაცვალსახელის მეშვეობით. აქ უნდა განვასხვაოთ ორი შემთხვევა:

ა) ნაცვალსახელი აღნიშნავს ზესიმრავლეს, რომელიც ტიპურ შემთხვევაში არ არის კოდირებული ზმნაშიც: ზესიმრავლე კოდირებულია ან მხოლოდ უმახვილო ნაცვალსახელის, როგორც სახელდართული მსახლერელის მეშვეობით (ა), ან მხოლოდ ზმნის პირით (ბ). მაგრამ ზმნის პირი და უმახვილო ნაცვალსახელი ერთმანეთის მიმართ არ არიან დამატებით განაწილებაში, ვინაიდან (გ) ვარიანტი, სადაც ორივე ერთმანეთის გვერდიგვერდ გვხვდება, გრამატიკულად სწორია, თუმცა (ა) და (ბ) ვარიანტები აშკარად უკეთესია, ვიდრე (გ) ვარიანტი, რომელიც განიხილება როგორც „არა იმდენად კარგი“, თუმცა „მისაღები“. ძველი ქართული ოთხთავის ტექსტში, რამდენადაც ვიცი, ყოველთვის (ა) ვარიანტი იჩენს თავს; ის, რომ (ბ) ვარიანტი არ გვხვდება, შეიძლება უკავშირდებოდეს თარგმანს ბერძნულიდან, რომელშიც მხოლოდ (ა) ტიპი (எἰς ἕξ ἄνθρωποι) „ერთი თქვენგან + მესამე პირი მხოლოდითი“) დასტურდება. (32) წინადადება (გ) ტიპისთვის არის დამადასტურებელი საბუთი ძველი ქართულიდან.

- (29) (ა) [[თქვენ-გან] ვის] შეუძლია?
- (ბ) [ვის] შეგიძლიათ?
- (გ) ? [[თქვენ-გან] ვის] შეგიძლიათ?
- (30) (ა) [[ჩვენ-გან] ერთი] შევა (შდრ. (21დ))
- (ბ) [ერთი] შევალთ
- (გ) ? [[ჩვენ-გან] ერთი] შევალთ
- (31) (ა) [[ჩვენ სამ-იდან] ერთი] შევა
- (ბ) [[სამ-იდან] ერთი] შევალთ
- (გ) ? [[ჩვენ სამ-იდან] ერთი] შევალთ
- (32) ერთი თქვენგანი დაადგერით აქა (ცხორებაჲ შიოფსი და ევაგრესი, ჰაგ. ძეგლები III (ი. აბულაძე) 146,13).

საძიებელი რჩება განსხვავება (ა)-სა და (ბ)-ს შორის (29)-(31) წინადადებაში. მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ განსხვავება დისკურსულ-ლინგვისტური ხასიათისაა: (ბ) ვარიანტი მაშინ გამოიყენება, როცა წინამავალ კონ-

ტექსტში ზესიმრავლეს „გააქტიურებული“, მაგალითად, როგორც სუბიექტი (19) წინადადებაში (*ჩვენ სამი კაცი*; (19ბ, გ) შეესაბამება (29/30/31ბ)-ს), ან როცა ვილაცას მიმართავენ წოდებითით ან წოდებითის გარეშე, როგორც (14)-(17) წინადადებებში.

ბ) ნაცვალსახელს შეუძლია აღნიშნოს ზესიმრავლე, რომელიც ზმნაში არის კოდირებული. ის ატარებს კონტრასტულ მახვილს და ქმნის ზმნის პირის ემფატიკურ ორეულს (3.):

- (33) მე შემოდლია, აბა **თქვენ** | ვის შეგიძლიათ?⁵
- (34) **ჩვენ** | [ერთი] შევალთ, **თქვენ** კი | [ორი] [შდრ. შეხვალთ]
- (35) **თქვენ** | [[სამიდან] ერთი] დადგებით კარში, **ჩვენ** კი |
[ხუთიდან ორი] დაცვაში
- (36) **ჩვენ** | სამიდან ორმა მოვიპოვეთ მედალი, **თქვენ** კი | ოთხიდან ორმა.

მაგრამ, მაშინ როცა, მაგალითად, *ჩვენ* (31ა) წინადადებაში, როგორც მსაზღვრელი, *სამიდან*-თან ერთად ქმნის სინტაგმას, ნაცვალსახელები (33)-(36) წინადადებებში სინტაგმას არ ქმნიან მათ მომყოლ სიტყვებთან ერთად, მათ შეუძლიათ მომყოლ სიტყვებს გამოეყონ პაუზით (|) ან სიტყვით (იხ. ზემოთ *მანეთიც* (41) წინადადებაში. ნაცვალსახელები (33)-(36) წინადადებებში იმიტომ გამოხატავენ ზესიმრავლეს, რომ ისინი არიან ორეულები ზმნის პირისა (3.1), რომელიც, თავის მხრივ, ზესიმრავლეს აღნიშნავს; მაგრამ თუ ნაცვალსახელები ზესიმრავლეს აღნიშნავენ სახელური გუფის **შიგნით**, მაშინ ისინი უნდა აღნიშნოს -*გან* / -*იდან* თანდებულთ (იხ. კალანდაძე 1998). (30ა)-თან შდრ.:

(30ა') *[[**ჩვენ**] ერთი] შევა(ლთ).

ამგვარად, ემფატიკური პირის ნაცვალსახელები, როგორცაა მაგალითად, (33)-(36) წინადადებებში, გადამწყვეტი მნიშვნელობისა არ არიან კითხვისთვის, თუ რა სახისაა ურთიერთობა ზმნის პირსა და სუბიექტს, შესაბამისად, ობიექტს შორის, ვინაიდან ისინი არ არიან, შესაბამისად, სუბიექტისა და ობიექტის შემადგენლები.

4.5 ზმნის პირით სახელური გუფის განსაზღვრება ქართულში იზოლირებული მოვლენა როდია. ქცევასთან ერთად ზმნის პირი ახდენს სხვადასხვა სახის ირიბი ობიექტის სპეციფიცირებას, როგორც სასხვისო, საზედარო და სხვა სახის მიცემითებად (ბოედერი 1968: 95; 110; 2005: 34-38). ზმნის პირი სახელდართულ მსაზღვრელთან (29)-(32) წინადადებებში ისევე იქცევა, როგორც ქცევიანი ზმნის პირი სახელდართულ განმსაზღვრელ კუთვნილებით ნაცვალსახელთან.

- (38) ა) შენს ცოლს გიქებენ
- ბ) ცოლს გიქებენ (ბოედერი 1968: 140).

⁵ “სამთავან ერთ-ერთი შევალწვეთ, სხვები გარეთ ვებრძოლოთ გარეთ მყოფებს” (აკადემიური გამოცემის კომენტარი, მაცნე 1994)

ორსავე შემთხვევაში სახელის ზმნის პირით მარტივი დეტერმინირება (7), (29/30/31ბ) წინადადებაში უფრო ბუნებრივია, ვიდრე ზმნის პირს დამატებულ სახელდართული მსახლვრელით ორმაგი დეტერმინირება (29/30/31გ), (32), (38ა).

4.6 ჩვენ ასეთ დასკვნამდე მივდივართ: პირის ნიშანი ზმნაში ახდენს მთლიანი სიმრავლის დეტერმინირებას; საჭირო არ არის მისი შეთანხმება სახელური ჯგუფის „თავთან“. ტიპურია, რომ ამ სახის განსახლვრებაში აკლია შესაბამისი სახელდართული მსახლვრელი, ანუ პირის ნაცვალსახელი. სხვაობა სახელდართული მსახლვრელით საერთო სიმრავლის განსახლვრებას (29/30/31ა) ან ზმნის პირით საერთო სიმრავლის განსახლვრებას (29/30/31ბ) შორის, როგორც ჩანს, დისკურსის ტექსტუალური თვისებებით არის განპირობებული.

5. კონსტრუქციის შეზღუდვები

5.1 აქამდე საუბარი იყო ზესიმრავლის „ჩვენი“ და „თქვენი“-ს შესახებ. ამის საპირისპიროდ ზესიმრავლე მრავლობითი რიცხვის III პირში უთანხმდება სახელური ჯგუფის „თავს“; (31ბ)ს-თან შდრ.:

(39) *სამ-იდან ერთი შევლენ

ამით ქართული კონსტრუქცია განსხვავდება სხვა ენების მსგავსი კონსტრუქციებისგან, როგორცაა, მაგალითად ტიბეტურ-ბირმული (ბეჰარე), რომელშიც მრავლობითი რიცხვის მესამე პირი ისევე გამოიყენება, როგორც მრავლობითის I და II პირი (ბიკელი 2000: 587): “[Three of his friends came.] Then one of them helps him get up. (lit. then one-person they-help-him)” როგორც: “Two of us went to the bazaar (lit. two we-go bazaar)”. I-II და III პირის ასიმეტრია შეიძლება შეესაბამებოდეს ზემოთ ნახსენებ გარემოებას (3. 3), რომ არ არსებობს III პირის ნაცვალსახელი, როგორც არადეიქტური მსახლვრელი. ასევე ზმნაშიც I და II პირის ნიშანს არ შეესაბამება მესამე პირის ნიშანი. ე.წ. მესამე პირის მორფემები არ ახდენენ პირის კოდირებას, მაგრამ ახდენენ სხვა ზმნური კატეგორიების კოდირებას, როგორცაა, მაგალითად, დრო და კილო (ონიანი 1978).⁶ გარდა ამისა, III პირი ნეიტრალურია განსახლვრულობის ნიშნის მიმართ (ბოედერი 2002ა: 92) და გამოიყენება I და II პირის არყოფნის შემთხვევაში.⁷ ამგვარად, III პირს არ შეუძლია სახელური ჯგუფის განსახლვრება ისე, როგორც ეს შეუძლია I და II პირს. მაშინ როცა I და II პირი განსახლვრებას ემსახურება, მრავლობითი რიცხვის III პირის ფორმები ემყარება რიცხვში შეთანხმებას „კანონიკური“ გაგებით.

⁶ ირიბი ობიექტის მესამე პირის ეგრეთწოდებული ნიშნის შესახებ აქ ვერ ვილაპარაკებ.

⁷ მომდევნო მაგალითში სუბიექტი არ არის ანაფორული და საერთოდ არ არის რეფერენციალური: ა, ჰჰუა თუ აქვს [ვინმეს], ამას ექნება, ამ მოხუც კაცს (მეგრული: ჰჰუა ულუნდა, ათეს აღვენუ, ათე რჩინუ კოჩის. უიფშიძე 4, 14). იგივე ობიექტსაც ეხება შემდეგ მაგალითში: რომელი ხედიენ, პოვის (მათე 7: 8) (ბოედერი 2002: 92-93).

5.2 როგორც ჩანს, მეორე შეზღუდვა არის ის, რომ ზ ტიპის კონსტრუქცია (4.2) დამოკიდებულია გრამატიკულ ფორმაზე. ამიტომაც ირიბ მეტყველებას არ შეუძლია „მემკვიდრეობით მიიღოს“ პირდაპირი მეტყველებისეული დეტერმინაციის თვისებები; ირიბ მეტყველებაში (16) წინადადება გვევლინება (40)-დ და არა (40')-დ.

- (40) მე მათ ვკითხე, თუ ვის ჰქონდა სიგარეტი
- (40') * მე მათ ვკითხე, თუ ვის ჰქონდათ სიგარეტი.

სხვა მდგომარეობა გვაქვს სვანურში, რომლის ნახევრად-ირიბი (*“semi-indirect” speech*) მეტყველება პირდაპირი მეტყველებისგან „მემკვიდრეობად იღებს“ დეიქტურ თვისებებს (ბოედერი 2002b: 33-34):

- (41) ეშხუ კესა მიჩაშვიდი ჟა ლოჭოდა, მინს ესერ მანაწთი დწს ხოჰვდახ (ბზ 263,23)

„ერთი ჟისა ჩემთვის მოუცია, თქვენ მანეთიც არავის მოგიციათ“

(სიტყვასიტყვით: ერთი ჟისა მისთვის მიუცია, მათ მანეთიც არავის მიუციათ).

5.3 გამოსაკვლევი რჩება საკითხი, ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია თუ არა რეფერენციის თვისებები: მაშინ როცა ზესიმრავლე დეფინიტიური უნდა იყოს, ჰვესიმრავლეს, ალბათ, შეუძლია არც დეფინიტიური იყოს და არც სპეციფიკური. ძველ ქართულ ოთხთავში ვკითხულობთ:

- (42) ერთმან თქვენგანმან მიმცეს მე
(მათე 26,21: $\epsilon\acute{\iota}\varsigma \ \acute{\epsilon}\xi \ \acute{\upsilon}\mu\acute{\iota}\nu \ \pi\alpha\rho\alpha\delta\acute{\omega}\sigma\epsilon\iota \ \mu\epsilon$).

ეს წინადადება შეესაბამება, მაგალითად, (29/30/31a) წინადადებების მოდელს. ერთ-ს აქვს სპეციფიკური, მაგრამ ინდეფინიტიური რეფერენცია (იესომ იცის, ვინ გასცემს მას, მაგრამ მოციქულებმა, რომელთაც იგი მიმართავს, არ იციან. ამ კონტექსტში, ჩანს, არც ახალ ქართულშია შესაძლებელი სხვა სტრუქტურა (?? ერთი გამცემთ), მაშინაც კი, თუ მოციქულების ჯგუფი კონტექსტუალურად მოცემულია (მაგალითად: „თქვენ კი ხართ ჩემი მოციქულები, მაგრამ ერთი თქვენგანი მე გამცემს, და მე ისიც ვიცი, ვინ“)

6. დისკუსია

განვიხილოთ ზემოთ აღწერილი მოვლენები უფრო ფართო კონტექსტში.

6.1 შეთანხმების „კანონიკური“ ნიშნების თვალსაზრისით (კორბეტი 2000) რელევანტიურია სულ მცირე ოთხი ნიშანი:

ა) ზმნის გარეთ მდგომი სახელური ერთეულის თვისება: ზმნის პირი უთანხმდება არა სახელური ერთეულის თავს, კერძოდ, არც ა ტიპის კონ-

სტრუქციის (5) წინადადებაში ობიექტის მხოლოდითი რიცხვის I პირი არ ემთხვევა ზმნაში *დედა-ს* III პირს), არც **ბ** ტიპის კონსტრუქციაში ((14) წინადადებაში სუბიექტის მრავლობითი რიცხვის II პირი ზმნაში არ ემთხვევა *რომელი-ს* III პირს, ასევე (19ბ) წინადადებაში სუბიექტის მრავლობითი რიცხვის პირველი პირი არ ემთხვევა *ერთმა-ს* III პირს).

ბ) ზმნის პირის ნიშნის თვისება: კანონიკურ შემთხვევაში ეს მიემართება ზმნის არგუმენტს. მაგრამ **ბ** ტიპის კონსტრუქციაში (19ბ) პირის ნიშანი ზმნის არგუმენტს კი არ აღნიშნავს, არამედ მის ზესიმრავლეს.

გ) რეფერენციული მოცულობის (ექსტენზიის) თვისება: **ა** ტიპის (მაგ. (19ა)) და **ბ** ტიპის (მაგ. (19ბ)) კონსტრუქციებს შორის მნიშვნელოვანი სხვაობაა თითოეულის გამომდინარეობის თვალსაზრისით: (19ა) წინადადებაში ზმნის პირის ნიშანს (მრავლობითი რიცხვის I პირს) და ზმნის გარეთ მდგომ სახელურ *გუფს სამი კაცი* ერთი და იგივე მოცულობა აქვს; წინადადებაიდან გამომდინარეობს, რომ პრედიკატი ორივეს მიმართ სრულდება (ჭეშმარიტია) და ორივე ზმნის ერთსა და იმავე არგუმენტს მიემართება. (19ბ) წინადადებაში კი, პირიქით, ზესიმრავლესა და ჭეშმარიტს ერთი და იგივე მოცულობა არ აქვს; (19ბ) წინადადებაიდან გამომდინარეობს, რომ პრედიკატი „შესვლა“ ერთი პიროვნების მიმართ სრულდება, მაგრამ ზესიმრავლის მიმართ („სამი (პიროვნება)“) – არა. გამომდინარეობის კრიტერიუმი განასხვავებს **ბ** ტიპის კონსტრუქციას ჩათვლითი კონსტრუქციისგან (*“inclusive construction”*, სინგერი 2001: 24), როგორც დადასტურებულია ჩრდილოავსტრალიურ მარას ენაში:

(43) *rna-na garriyi-mar rni-rlini.*

მამრობითი.ნაწევარი კაც-არა.მრავლობითი Iპირი.ორობითი. ექსკლუზივი-სვლა

‘the man and I went’ (J. Heath, იხ. სინგერი 2001ბ: 9).

ამ წინადადებაიდან გამომდინარეობს, რომ პრედიკატი ‘წასვლა’ ჩემსა და კაცის მიმართ სრულდება.

დ) არგუმენტის სტატუსი: **ბ** კონსტრუქციაში ზმნის არგუმენტი არის არა ზმნის პირით გამოხატული ზესიმრავლე, არამედ მისი საშუალებით განსაზღვრული, ჭეშმარიტის აღმნიშვნელი ზმნის გარეთ მყოფი ერთეული.

6.2 თუ საერთოდ ამ შემთხვევებს შეთანხმებას დავარქმევთ, მაშინ საქმე გვაქვს შეთანხმების „ასოციატიურ“ ტიპთან (ბიკელი 2000),⁸ რომლის შემთხვევაში ზმნის შიგნით მყოფი პირი და ზმნის გარეთ მყოფი მისი სახელური შესატყვისის „თავი“ დაკავშირებულია არა იდენტური თვისებებით, არამედ სხვა, გარკვეული ტიპის ლოგიკური მიმართებებით. საქმე გვაქვს ზმნის შიგ-

⁸ ეს ასოციატიური შეთანხმება არ უნდა აგვერიოს „ასოციატიური მრავლობითის“ ცნებასთან, როგორც ძველ ქართულში: *მარიამეთ* „მარიაში და მართა“ (იოანე 11,45C), *წარ-რა-გიდღეს* *პანფეთ* *პავლეეთნი* (საქმ. 13,13) (ბოუდერი 1992).

ნით მყოფ პირსა და ზმნის გარეთ მყოფ სახელურ სინტაგმას შორის არსებულ ისეთ შეთანხმებასთან, რომელსაც აკლია კანონიკურ „წარმმართველსა“ (“**controller**”) და „სამიზნეს“ (“**target**”) შორის არსებული ასიმეტრია (მითუნი 1986: 51). ეს არის შეთანხმება შეთავსებადობის გაგებით, ისე, როგორც ეს არის ანტიკურ გრამატიკაში (κατακλιτική). ჩვენს შემთხვევაში „შეთანხმების“ წესები „ხესიმრავლისა“ და „ჭეშმარიტი“ ან „არაჭეშმარიტი“ ქვესიმრავლის ცნებას უნდა ემყარებოდეს. ხესიმრავლესა და ქვესიმრავლეს შორის სინექდოხეს მიმართებაა იმ გაგებით, რომ ზმნის შიგნით მყოფი პირის ნიშანი ახდენს ჯგუფის კოდირებას და ზმნის გარეთ მყოფი შესატყვისი – რეფერენციულად არასპეციფიკური ქვესიმრავლისას, რომლის მიმართ პრედიკატი სრულდება. დაკავშირების წესები, რომლებიც ამ ლოგიკური მიმართებით მოქმედებენ, შეაერთებენ ზმნის პირს და ზმნის გარეთ მყოფ შესაბამის სახელს არგუმენტის გამომხატველ ერთეულად, რომელიც გერმანულ ან ინგლისურ სახელურ ჯგუფს შეესაბამება.⁹

6.3 ზმნის პირსა და ზმნის გარეთ მყოფ მსახლგრელს შორის მოცემულ შემთხვევაში არის იდენტურობის მიმართება: ზმნის პირი იდენტურია ზმნის გარეთ მყოფი ერთეულის თავის მსახლგრელისა (ტიპი ა) ან მასზე დამოკიდებული ხესიმრავლის სინტაგმის მსახლგრელისა (ტიპი ბ). ამ თვალსაზრისით ახდენს ზმნის პირი ზმნის გარეთ მყოფი სახელური შესატყვისის დეტერმინირებას. გასარკვევი რჩება, სინტაქსურად რა გაგებით აისახება ზმნის პირსა და ზმნის გარეთ მყოფ მის შესატყვისს შორის არსებული მიმართება და სემანტიკური მიმართება – ხესიმრავლესა და ქვესიმრავლეს შორის.

